საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის

ბრძანება №01-138
2020 წლის 21 ივლისი

ქ. თბილისი

„საკონსულო დაწესებულების გახსნის წესისა და ტიპობრივი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2013 წლის 9 ივლისის №158 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საკონსულო დაწესებულების გახსნის წესისა და ტიპობრივი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2013 წლის 9 ივლისის №158 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 15/07/2013, სარეგისტრაციო კოდი: 480610000.22.030.016083) დამტკიცებულ საქართველოს საკონსულო დაწესებულების გახსნის წესსა და ტიპობრივ დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-6 მუხლის შემდეგ დაემატოს 6^1 მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6^1. ახალი საკონსულო დაწესებულების გახსნა

1. ახალი საკონსულო დაწესებულება მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას შეუდგება, მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელების შემდეგ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებამდე, ახალი საკონსულო დაწესებულების ფუნქციების შესრულება ეკისრება:

ა) შესაბამის ადგილსამყოფელ სახელმწიფოში არსებულ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წარმომადგენლობის არარსებობის შემთხვევაში, საკონსულო დეპარტამენტს, ან მესამე სახელმწიფოში არსებულ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას საკონსულო თანამდებობის პირის მეშვეობით ან საკონსულო დაწესებულებას.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საგარეო საქმეთა მინისტრი **დავით ზალკალიანი**